პროპაგანდის რიტორიკული საშუალებების გამოყენება და ძალთა დინამიკა: ეთოსი, პათოსი და ლოგოსი დონალდ ტრამპისა და კამალა ჰარისის 2024 წლის საპრეზიდენტო დებატებსა და საარჩევნო კამპანიაში

თეონა აბაშიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ანგლისტიკა

ხელმძღვანელი: ნინო გულიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა აბაშიძე

19.06.2025 წელი”

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს რიტორიკული საშუალებების – კერძოდ ეთოსის, პათოსისა და ლოგოსის – სტრატეგიულ გამოყენებას, როგორც პროპაგანდისა და ძალაუფლების დინამიკის ინსტრუმენტებს დონალდ ტრამპისა და კამალა ჰარისის 2024 წლის საპრეზიდენტო დებატებსა და კამპანიაში.

ნაშრომის თეორიული ჩარჩო ეფუძნება ჯონათან ჩარტერის-ბლექის თანამედროვე მოდელს, რომელიც ეყრდნობა არისტოტელეს კლასიკური რიტორიკის მეთოდებს. ასევე გამოყენებულია ნორმან ფეარკლაფის, რუთ ვოდაკისა და რობინ ლაკოფის ნაშრომები. თეორიული მიდგომები დაკავშირებულია ემპირიულ ანალიზთან, რათა სიღრმისეულად შევაფასოთ პოლიტიკური რიტორიკისა და პროპაგანდის როლი ძალაუფლებისა და საზოგადოებრივი აღქმის ფორმირებაში.

კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს, თუ როგორ იყენებს ორივე კანდიდატი პროპაგანდის რიტორიკულ საშუალებებს, ეთოსის, პათოსისა და ლოგოსის ურთერთქმედებით, რათა შეიძინონ დამაჯერებლობა, მოიპოვონ ავტორიტეტი, შექმნან პოლიტიკური იმიჯი, მართონ ემოციები და მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია.

ნაშრომი ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიას: რაოდენობრივი ანალიზი მოიცავს ექვსი პროპაგანდისტული რიტორიკული საშუალების შეფასებას (name-calling, glittering generalities, card stacking, transfer, bandwagon, შიშზე დაფუძნებული მიმართვები), ხოლო თვისობრივი ანალიზი ფოკუსირდება 168 რიტორიკულ მაგალითზე (84 თითოეულ კანდიდატზე).

შედარებითი ანალიზი აჩვენებს მკაფიო განსხვავებებს სტილში, ტონის ინტენსივობასა და კომუნიკაციურ მიზნებში: ტრამპის რიტორიკა ხშირად აგრესიულია, დომინირებაზე ორიენტირებული და ემყარება ემოციურ და შიშზე დაფუძნებულ სტრატეგიებს, მაშინ როცა ჰარისის რიტორიკა ფოკუსირებულია ეთიკურ ღირებულებებზე, ინკლუზიურობასა და დემოკრატიულ იდეალებზე.

კვლევა ადასტურებს, რომ ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ ძალაუფლების კონსტრუირებისა და იდეოლოგიური ჩარჩოების ჩამოყალიბების მექანიზმი.

ნაშრომი მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვასა და თეორიული ჩარჩოს განხილვას და ემპირიულ ნაწილს. ანალიზი იკვლევს ტრამპისა და ჰარისის რიტორიკულ სტრატეგიებს, მათ გავლენას აუდიტორიაზე და შედეგებზე.
დასკვნითი ნაწილი აჯამებს ძირითად მიგნებებს და აფასებს რიტორიკული სტრატეგიებისა და პროპაგანდის როლს პოლიტიკური დისკურსის ფორმირებაში. იგი ხელს უწყობს თანამედროვე დემოკრატიულ დისკურსში პოლიტიკური რიტორიკის გავლენის სიღრმისეულ გაანალიზებას.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური რიტორიკა, პროპაგანდის საშუალებები, ეთოსი, პათოსი, ლოგოსი, ძალთა დინამიკა, პოლიტიკური კომუნიკაცია, დისკურსის ანალიზი, იდეოლოგიური ჩარჩოები.

Abstract

The thesis explores the strategic use of rhetorical devices – specifically ethos, pathos, and logos – as tools of propaganda and power dynamics in the 2024 presidential debates and Campaign Performances of Donald Trump and Kamala Harris.

The theoretical framework of the thesis is based on Jonathan Charteris-Black's modern model, which draws on the methods of Aristotle's classical rhetoric. The work of Norman Fairclough, Ruth Wodak, and Robin Lakoff is also used. Theoretical approaches are linked to empirical analysis to provide an in-depth assessment of the role of political rhetoric and propaganda in the formation of power and public perception.

The study aims to explore how both candidates use rhetorical devices of propaganda, through the interaction of ethos, pathos, and logos, to gain credibility, assert authority, create an political image, manage emotions, and manipulate public opinion.

The research is based on a mixed methodology: the quantitative analysis includes an assessment of six propaganda rhetorical devices (name-calling, glittering generalities, card stacking, transfer, bandwagon, fear-based appeals), while the qualitative analysis focuses on 168 rhetorical examples (84 for each candidate).

The comparative analysis reveals clear differences in style, intensity of tone, and communicative goals: Trump's rhetoric is often aggressive, dominance-oriented, and relies on emotional and fear-based strategies, while Harris's rhetoric focuses on ethical values, inclusiveness, and democratic ideals.

The study confirms that language is not only a means of communication, but also a mechanism for constructing power and establishing ideological frameworks.

The thesis includes a literature review, a discussion of the theoretical framework, and an empirical section. The analysis examines the rhetorical strategies of Trump and Harris, their impact on audiences, and the outcomes.

The conclusion summarizes the main findings and assesses the role of rhetorical strategies and propaganda in shaping political discourse. It contributes to an in-depth analysis of the influence of political rhetoric in contemporary democratic discourse.

Key words: Political rhetoric, propaganda devices, ethos, pathos, logos, power dynamics, political communication, discourse analysis, ideological frameworks.

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ნინო გულიაშვილს მნიშვნელოვანი რჩევების, მითითებების, მოწოდებული მასალისა და ყურადღებისთვის.